ოთხშაბათი, 1 იანვარი, 1930 წ. № 1—(287) მეშვიდე წელიწადი. ფასი 10 კაპ.

ტარტაროზი

„ტარტაროზი"-ს საახალწლო სურვილი ამხ. სტალინს
მისი დაბადებიდან 50 წლის შესრულების გამო

საკავშირო კომპარტია
შენით მძლეა და ურყევი,
სტალინ, შენ ხარ მსოფლიოში
კომუნიზმის ცეცხლის მფრქვევი.
კომპარტიის ბელადი ხარ,
მედგრად იცავ წითელ ალამს,
„ტარტაროზის" რედაქცია
ბოლშევიკურს გიძღვნის სალამს.

Библиотека-Музей
Академия наук

ახალი წელი, ახალი ამოცანები

ჩვენც ვეგებებით ახალ წელს

არავის ეგონოს „ხელცარიელი“ ვხვდებოდეთ მას.

ჩვენი მიზანია: 1930 წელს სატირისა და იუმორისათვის ჩვენში შევქმნათ პოპულიარული ორგანო ჩვენი ჟურნალის სახით.

ვგრძნობთ:

ჩვენს პირობებში ამ მიზნის განხორციელება ძნელი საქმეა,

გვწამს:

განხორციელება მისი შესაძლებელია და აუცილებელი. ჩვენს მთავარ ამოცანას შეადგენს: გარკვეული იდეოლოგიური სახის ტარება.

უნდა ვიცოდეთ:

ჩვენი ჟურნალი სატირისა და იუმორის ორგანოა და არა მხოლოდ იუმორის.

ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენი ჟურნალი „სიცილის ორგანოა“. ეს რომ ასე იყოს, ის მართლაც სასაცილო ჟურნალი იქნებოდა ჩვენს დროში.

ვაცხადებთ:

ყველას ჩვენ ვერ გავაცინებთ და არც გავაცინებთ... პირიქით, ჩვენი მიზანია:

ზოგი გავაცინოთ — ზოგი ავატიროთ.

რეკონსტრუქციის პერიოდში, კლასიური ბრძოლის გამწვავების და თვითკრიტიკის დროს, ჩვენი ჟურნალის დანიშნულებაა: შეუბრალებელი მხილება საბჭოთა ანტისაზოგადოებრივობის სხვადასხვა მოვლენების, დაუნდობელი ბრძოლა მშრომელთა შინაურ და გარეშე მტრებთან და, დასასრულ, მჟღავნება იმათი შეუგნებელი და შეგნებული შეცდომებისა და დანაშაულებებისაც, რომლებიც ალჭურვილნი არიან ჩვენი პარტიის და ხელისუფლების ნდობით... ჩვენი გესლიანი კალამი არ აცდება მეშჩანურ განწყობილებას.

ჩვენ არ დავინდობთ არავის, არც მარჯვნივ, არც მარცხნივ.

ჟურნალის მეორე ამოცანას შეადგენს მხატვრული დონეს აწევა და მისი ტეხნიკურათ გაუმჯობესება.

ხოლო მესამე ამოცანა, რომელიც ეხლა ჩვენს წინაშე სდგას,—ეს არის ჩვენი ჟურნალის გარშემო საბჭოთა საზოგადოებრივი აზრის შექმნა. ამ მიზნით ჩვენ მჭიდრო კავშირს გავაბამთ ჩვენს მკითხველებთან, რომელთა კრიტიკა ჩვენ დახმარებას გაგვიწევს და მათი შენიშვნებით ვი ვისარგებლებთ.

საბჭოთა საზოგადოებრივი კანტროლი და დახმარება—აი რას მოველით ჩვენ 1930 წლიდან.

ეს პირველი ნაბიჯია, რომელსაც უნდა მოყვეს შემდეგი ნაბიჯები.

რწმენით და იმედით ვხვდებით ახალ წელს.

რწმენით და იმედით მივაღწევთ ჩვენს მიზანს.

რედაქცია.

წერილი ემიგრანტს

რალა მოგწერო, პეტრე,
ვაი, მიშრება ხახა,
კარგი იქნება ახლო —
ესთ ავი რომ განახვა.
დაიგვიანეთ კაცო,
დადგა მეათე წელი,
და უნდა გამოგიტყდე,
სიკეთეს აღარ ველი.
იწერებოდი, თითქოს —
თქვენ მოხვიდოდით მალე,
და აღარ დაილია
„ხვალე, ხვალე, და ხვალე“;
ჩვენ არვინ გვეკითხება,
ქვეყანა დარჩა მუშებს...
გვერეკებიან ყველგან
ვით უკანასკნელ ბუშებს.
მამაშენს შავ სიაში
წააკვრევიეს ცხვირი;
ბიძაც გაჩისტეს ნიკა,
ჭირს გადაჰკიდეს ჭირი.
ილიკო არ მსახურობს,
არსენი ცრემლად დნება,
მამიდა დასნეულდა,
(ხაცაა ქეც მოკვდება)..
ფილას სცალია ჩვენთვის,
აგებენ მუშათ სახლებს.
ამათი შემხედვარე
ლოდინი ჩაგვაძაღლებს.

მანი.

„შეურაცყოფილი“

— როგორ? განა მე სხვებზე ნაკლე ბი ვარ, რომ გადასახადს არ მაწერთ?

„ოპორტუნისტი“

„როგორ გეკადრებათ, ამისთანა ახალ წელს რა ჯობია? — არც ხარჯი, არც გარჯა, არც ღვინო, არც ლოთობა, არც სტუმარი, არც მასპინძელი, ხარ შენთვის წყნარად, უსმენ რადიოს და ისვენებ კულტურულად.

მახსოვს (რატომ არ უნდა მახსოვდეს, ორმოცი წელი როდის შემისრულდა ხეირიანათ არც კი მაგონდება, ბავშვი ვიქნებოდი მაშინ ალბათ)... დიახ, მახსოვს ძველი ახალი წლები და მათი თავგადასავალიც.

პირველი ის, რომ ერთი ორი თვე მომჭირნეობა უნდა გამეწია, რომ საახალწლო ფული დამეგროვებინა. ამ ორ თვეში კუჭი ისე ხმებოდა, როგორც სატყეო ტრესტის შეშა (რომელიც, სიტყვამ მოიტანა — არც იმოვება). დგებოდა ახალი წელი და ეს გახიკინებული კუჭი (ნაგოშრელ ექიმის არ იყოს, რომელიც ყოველგვარ ავადმყოფს გახიკინებულ კვერს რომ უწერს)... დიახ, ეს გაპიწკინებული კუჭი ვალდებული იყო აეტანა ყველაფერი, რაც შინაურ და გარეშე დიასახლის - მამასახლისებს მოეპრიანებოდათ.

მეორე ის გახლავთ, რომ გოზინაყებმა თითქმის სრული ასი პროცენტით გაანადგურეს კბილები და აგრეთვე დიდი ზიანი მიაყენეს როგორც ქვედა, ისე ზედა ყბას.

მესამე გახლდათ (ახლა აღარ გახლავთ) გოკ-ინდაური, რომელთა შეძენა, გაკეთება, ჩასაცივება და შეწვა მოითხოვდა როგორც დიდ დროს, აგრეთვე საგრძნობ თანხას და თქვენი მორჩილი ამხანაგი მაშინაც საქმის მწარმოებელი იყო და როგორც ასეთის, მისი ბიუჯეტი ყოველთვის დეფიციტიან ბიუჯეტთა რიცხვში ითვლებოდა.

მეოთხე და უმთავრესი იყო ღვინო, კონიაკი და არაყი. ჯანაბას, ყიდვას, როგორც იყო უძლებდი, მაგრამ დალევა? დალევას ხომ უნდა განსაზღვრული (და ხშირად განუსაზღვრელი) ენერგია, სტომაქი, კუჭი და გული? ათასნაირი სასმელით გამოთაყვანებული, რომელიც ათიათას ნაირ სისმისებით მოგვერთმეოდა, ერთ კვირას ველარ მოვდიოდი გონს და ხშირად მიმილია საქმეთა მმართველის შენიშვნა (ქე სვამდა იგიც კაი გვარიანათ).

მეხუთე გახლავთ ტანსაცმელის გამოცვლის, ან უკეთეს შემთხვევაში დაკერება — მოკერვის საკითხი, რადგანაც ახალ წელს ყოველთვის მოჰყვებოდა ხოლმე ჩხუბი და დავიდარაბა: მართალია, ჩხუბი არ მიყვარს, მაგრამ რომ დათვრები, ან შენ აუტეხ ვინმეს აყალ-მაყალს, ან ვინმე აგიტეხს და ამას თავისი შედეგები მოსდევს.

ამ ჩვენი საბჭოთა ახალი წელის შემოღებით, როგორც ყველამ კარგათ ვიცით, ყველა ხსენებული და უხსენები უსიამოვნება თავიდან აცილებულია და ამიტომ მე სიამოვნებით ვსვამ ამ პატარა სასმისით“..

აი, ასეთი სიტყვა, ანუ „რეჩი“ წარმოსთქვა თავისი კარგი მეგობრისას საქმისმწარმოებელმა გერმოგენმა 1930 წლის 1 იანვარს, სალამოთი.

საქმე იმაშია, რომ გერმოგენმა მართლაც, როგორც „რეჩიდანაც“ სჩანს, უარჰყო ახალი წლის ძველებურათ გათენება თავის ოჯახში და ისევ მეგობრებში არჩია ქეიფი.

ამბობენ, რომ გერმოგენს, იდეოლოგიურ გამართლებასთან ერთად ფინანსიური გაუმართლებლობა ქონდა და ამიტომ ამჯობინა საკუთარი ინდაურებისა და სასმისებისთვის თავის დანებება და მეგობრებში გადასვლა „თავის შესაქცევად“.

ლახვარი.

„უიმედო წელიწადი“

— ილიკო, ერთი ამას შეხედე! წელიწადი უკვე გათავებულა. — უჩვენა კალენდარის ფურცელზე „სამშაბათი, დეკემბერი 31“ კულაკმა ივანემ და კალენდარი იქვე მჯდომს ჩარჩს ილიკოს გადაუდო, რომელმაც გადმოშალა უკანასკნელი ფურცელი და თვალებში ეცა კალენდარის ბოლოში თეთრ ქაღალდზე:

„მოგილოცავთ ახალ წელს“.

— ჰმმ... ახალ წელს კი მილოცავ, მარა რა პირობებში? — ჩაილაპარაკა თავისთვის ილიკომ და ივანეს უთხრა:

— ივანე, ხედავ, ახალ წელს გვილოცავენ?

— არიქა ბიჭებო, თუ გაგვიმართლდეს ჩვენი მოლოდინი.

— მამა იონას კიდევ არ დაუჯერებდი, მარა ჩვენმა ვახტანგმაც გადმომილაპარაკა.

— რაო, რაო? — შეეკითხა ივანე.

— ის, რომ ჩინეთს თურმე ამერიკა ეხმარება, ამერიკას — ინგლისი, ინგლისს — კიდევ სხვები და ასე.

— აბა, გათავებულა მაგათი საქმე.

— სათანაბრო და საშემოსავლო გადასახადს, რომელიც უნდა გადამეხადა ამ დღეებში, აღარ ვიხდი! —გაუხარდა ილიკოს.

— ვითომ ასე მალე მოგვისწრებენ სულზე?..

— იცოცხლე, მალე შემობრუნდეს ჩვენი დრო.

— ღვთის კურთხევა და უფლის მადლი იყოს თქვენზე შვილებო. — ჯვარის ასახვით აკურთხა დამხდურნი შემოსულმა მღვდელმა იონამ.

— შენი კურთხევაც ნუ მოგვაკლოს უფალმა, მამაო იონა, — ხელზე ამბორით უპასუხებს.

— და, ვითმინე, და მოვესწარ სანეტარო დროსა, — ჩაილაპარაკა მღვდელმა და ამაყათ გადახედა დამხდურთა.

— მართალია ყველაფერი, მამაო? —შეეკითხა ივანე.

— მართალია, მართალი! — დაუდასტურა იონამ.

— რის გაკეთებაც ვერ მოასწრო 29 წელმა, იმას დაასრულებს 30 წელი. კოლექტივები, ჩემო ივანე, ამოგაძრობენ სულს. კოოპერატივები, ჩემო ილიკო, ისე გაგაჭროლებენ, რომ შენი ნაყოფიც აღარსაც სჩანდეს, რაც შეეხება მამაო იონას, ჰასზე ლაპარაკიც ზედმეტია. მე კი უკვე ამომკრეს პანღური და 1930 წელში ფეხიც არ გადამადგმევინეს. — სთქვა ბიძინამ, რომელიც ეხლახანს მოხსნეს სამსახურიდან ბიუროკრატობისათვის.

ამ ლაპარაკში უკვე 31 დეკემბერიც გასულიყო და კრებულს თავს წაადგა ახალი წელი, რომელმაც ყოფილებს ასე მიუმღერა:

თქვენა ხართ მსხვერპლი ტყუილ ლოდინის
და ამ ლოდინში გაგძვრებათ სულიც;
თქვენ მუდამ მტრობდით ახალ ქვეყანას
და გახარებდათ ძველი, წარსული,
მაგრამ იმსხვრევა თქვენი იმედი
და მიეწევით თქვენ გადასულებს,
ხოლო კარგს იზამთ, თუ თან წაიყვანთ
თქვენებრ ვუზიანს და მავნე სულებს.

ტოკსინი.

„უკვდავი გმირები“

ეგ. ნინოშვილის დაბადებიდან 70 წლის შესრულების გამო

— ეს ჩემი „გმირები“ კიდევ სცოცხლობენ?!. სანამდი ნეტა!

გოდება

მღვდელი

ღმერთო ველარვის ვატყუებ,
დრომ კი დამამდაბლაო.
ანაფორაც გამიხუნდა,
მენატრება ტაბლაო.
კომუნისტებს ეშმაკობით
ვერსად შევუძვრიო,
ამდენ დარდისგან ქალარით
შემემოსა წვერიო.
ოღონდ არ ამოვწყდებოდეთ
ამ ქვეყნად ჩვენ ერშიო,
სიამოვნებითაც შევალ
თუ გინდ პიონერშიო.

ფოფოდია

ვაი, რა ვქნა, ლამის არის,
რომ დამეცეს დამბლაო;
ტანზე ისე შემომაცვდა,
ხელს ვიფარებ დაბლაო.
წინად ისე მსუქნად ვიყავ,
ძლივს დამქონდა გავაო...
ეხლა უშრომლად ცხოვრება,
ვხედავ, აღარ გავაო...
მღვდელო, რადგან აღარა გაქვს
არც ფული, არც კოლიო, —
სჯობს გავიყარნოთ, მსურს გავხდე
„კომკომოლას“ ცოლიო.

დიაკვანი

ხურჯინით ძლივას მომქონდა
სამღვთო, ზურგიელიო,
ო, ფოფოდიავ; მსხვილ ბარკალს
ეხლა ნუღარ ელიო.
მღვდელო, რადგან გავბითურდით
მრევლში, შინ თუ ცოლშიო,
შენ პარტიაში შეძვერი,
მე კი „კომკომოლშიო“.
ნუ თუ აღარ დაბრუნდება
ის ჩვენი დრო, ტკბილიო,
რომ გოჭებს და ინდოურებს
ისევ გავკრათ კბილიო.

მკითხავი

თქვენ რა გიჭირთ, კიდევ დაგგრჩათ
ისევ ძველი ქონიო...
მე კი გაბითურებული
ფეხს გავჭიმავ მგონიო.
ეხ, ხელიდან წაგვივიდა
აღდგომა და შობაო,
„ინდაურზაციის“ ეხლა
შემოიღეს ობაო.

ყველანი

სულ ისპობა, რაც რომ გვქონდა
დღეობები ძველიო.
ახალ დღეობებს ეყრება
ეხლა საფუძველიო.
სადღა არის ჩვენი შობა
და ქრისტე აღდგომაო,
გეკითხებით: ღირს კვლავ ჩვენი
ლოცვა და აქ დგომაო?

ტარზან.

„წმინდა ბასილე“

(საახალწლო)

ოქრო და ვერცხლით აღვსილი
გწყალობდეთ წმინდა ბასილი“!

ხალხური

თქვენი რა ვიცი
და მე კი ბასილს
ფულს ვევალები,
მთლად საყოფს ამ წლის!
მართალი არის,

ანტანტას ვალზე
ვსტკიცე უარი
ზე კაკალ თვალზე,
მაგრამ ანტანტას

ემართოს ჩემი,
მოვკვდე, თუ შერჩეს
ის მოუცემი!
ასეა ჩემთვის

წმინდა ბასილიც.
მას არც ერთ ბანკში
არ უდევს წილიც,
და ოქრო-ვერცხლის

მისგან ბოძება
არის ზღაპრული
აზორბოცება!
ამიტომ თხოვნა,

ხვეწნა, ვედრება,
ვგმე და მსურს მაზედ
რა შეედრება?!).
სულ ესესერში
მცხოვრებთა ჯამი
ას ორმოცდაათ

მილიონს დრამი
არ უკლიაო,
როგორც ამბობენ!
წმინდა ბასილეს

ხომ შეამკობენ
ახალ წელიწადს
ჩიჩილაკებით?
მოდი და მოვთხოვ

მათ დალაგებით,
რომ ჩიჩილაკი
თუ ღირს მანათი,
ფულად დაყაჭონ

ფასი ამათი!
შემდეგ ხონჩებსაც
ხომ გაუწყობენ:
თითო ღორისთავს

ზედ დაუწყობენ?
(ვითომ ბასილეს
ამით აძღობენ!)
თითო მანათიც,

ნაცვლად ამისა,
დასდონ უმალეს
თვალთ ხამხამისა!
(თორემ წავუხდენ

მადას ჭამისა!)
თაფლის სანთლის წილც,
თითო მანათი
უნდა მოყაჭონ,

არ მსურს კამათი!
აბა, დედოპურს,
აგა საკმეველს,
აბრეშუმსა თუ

ბადეს, სათხეველს,
ბატსა თუ ქათამს,
ღომს თუ ზედ კვერცხებს,
თუ გასალოცავს

ხონჩაზე ვერცხლებს?
თითო მანათი
თითეულ თავზე
უნდა მომიზღონ,

კომკავშირის გამოწვევა

ზოგიერთ ჩვენს სოფლებს დღემდე შერჩენია ძველი საეკლესიო—რელიგიური სახელწოდება, როგორიც არის, მაგ.: „ამაღლება“, „სამება“, „ჯვარი“, „მოწამეთა“, „საღვთო“, „ჯვარ-ცხმა“, „ხატის-თელეთი“, „უფლის-ციხე“ და სხვა.



ტარტაროზის ლოზუნგია

1930 წელს. ჩვენში არ უნდა და-რჩეს არც ერთი სოფელი ძველი საეკლესიო-რელიგიური სახელწოდებით.

ამ ლოზუნგის ცხოვრებაში გასატა-რებლად ტარტაროზი იწვევს შეჯიბრში ადგილობრივ კომკავშირთა ორგანიზაციებს.

რომ დავდგე თავნზე,
და ინდუსტრიის
ჩავრიცხო ფონდში!
თითონ ბასილსაც
გავჭიმავ ფრონტში
და ერთ თუნუქის
„კრუჟკითაც“ ხელში
ჩამოვატარებ
დაბა—სოფელში!..
ზევრ „იქი-მაქის“.
კი არ ვადროვებ:

სოციალისტურ
დოვლათს ვაგროვებ!..
რა მაქვს სახვეწნი
ან სათხოვარი?
(რევოლუციის
მონაპოვარი?!)
დაჯდეს ბასილეც
და „ჩეჩოს მატყლი“:
მღვდლებს და დიაკვნებს
იმისი მადლი!

ᲛᲐᲖᲘᲠᲐ

მოულოდნელად

ყველაფერი ჩინებულად ჩატარდა. წმენდაზე არავინ არ აღმოჩნდა იმის მცოდნე, რომ დიომიდე მეფის დროინდელი ჩაფარია. არავის არაფერი უთქვამს იმის შესახებ, რომ დიომიდემ მენშევიკების დროს ოსეთში თავი ისახელა მშვიდობიან მცხოვრებლების გადაბუგვით.

— ასე, ამხანაგებო, მე ყოველთვის თანაუგრძნობდი კომუნისტებს... მართალია, არც ერთ პარტიაში არ ვიყავი, მაგრამ როცა ჩამოყალიბდა ბოლშევიკური მიმდინარეობა, როცა ბოლშევიკები საბოლოოდ გაემიჯნენ მენშევიკებს, როცა მენშევიკები საბოლოოდ გაკოტრდენ, მე ბოლშევიკებს მივეკედლე. ამას დაადასტურებს ცნობილი რევოლიუციონერი, 1905 წელში განთქმული... სახელი და გვარი ენაზე მაკერია... ვერ ვიგონებ... ეხლავე გეტყვით...

— კმარა, არ არის საჭირო! — გაისმა ხმა.

დიომიდე უკვე მოემზადა დასაჯდომათ.

ამ დროს გაიღო კარები და გაისმა ქალის ხმა:

— მაგი წუწკი, მაგი მანძაღლი!...

ყველა სახტად დარჩა. ხმა მეტად მკვახე და დაუნდობელი იყო.

— ამაზე უარესი კაცი ჯერ ქვეყანაზე არ გაჩენილა. მაგას თქვენ კი არა, მტკვარიც ვერ გასწმენდს...

— ფაქტები, ფაქტები, — დაიძახა ბოხის ხმით თავმჯდომარემ.

— ფაქტები? რამდენიც გინდათ. 1905 წლის რევოლიუციის შემდეგ მაგას არც ერთი ცოტათ თუ ბევრად აქტიურად მომქმედი რევოლიუციონერი არ გაუხარებია თავის სოფელში. მაგან გადაასახლებია მისივე მეზობელი კალისტრატე კენჭიაშვილი. მაგან მოახერხა საწყალ სოლიაშვილის კატორღაში გაგზავნა...

— თქვენ ეს საიდან იცით? — შეეკითხა თავმჯდომარე.

— იქიდან ვიცი, რომ ამისათვის მაგან მენდალი მიიღო, წარმატება... იქიდან ვიცი, რომ თვითონ ეს ამბავი.

დიომიდეს აუტყდა თავის ფხანა...

— კიდევ რა იცით უფრო ახლო წარსულიდან?

— ის ვიცი, რომ მენშევიკების დროს წინ • უძღოდა ერთ - ერთ რაზმს, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო მშვიდობიან მცხოვრებლების აწიოკებაში... აი ეს საბუთები იქიდან მომიტანა საჩუქრად...

ქალმა მოიხსნა საყურეები და ცხვირში მიაყარა გაქვავებულ დიომიდეს...

— თქვენ საიდან იცნობთ დიომიდეს? — ისევ შეეკითხა თავმჯდომარე.

— როგორ არ ვიცნობ მაგ სამიწეს!... ჩემი ქმარი იყო, მეხი კი დავაყარე მაგას...

— ეხლა თქვენი ქმარი არ არის?

— ეშმაკის ქმარი იყოს, მაგას ცხელი გაუვლია აწე! მაგი ბნედიანი მომდგება, მცემს, მაგინებს — რატომ ლამაზი არა ხარო, მიგვატოვებს ულუკმაპუროდ ცოლშვილს და მთელი კვირაობით როსკიპებთან ატარებს დროს.

— ყველაფერი ეს თუ იცოდით, რატომ აქამდე არ განაცხადეთ? — საყვედურის კილოთი უთხრა თავმჯდომარემ.

— ეხლა გადავსწყვიტე გავშორდე; გავსწყვიტო ყოველივე კავშირი მაგ არამზადასთან. მაპატიეთ, რომ ნამუსს უნახავდი მაგ უნამუსოს...

დიომიდე გაფითრებული იდგა.

სემეირ-ბენ-შეიხ.

ზეცისაკენ

— მამაო, რას ერჩით ღმერთს, რომ ციდან მისი გადმოგდება გინდათ?

— გადმოგდება კი არა, მე მინდა მასთან ასვლა.

მოდი, ვნახოთ...

ჩვენს „უაქტებში" ხშირად აქვს ადგილი გაფლანგვას და რემონტისათვის გადადებული თანხები არ არის მოხმარებული დანიშნულებისამებრ. (გაზეთებიდან)

მოდი, ვნახოთ, სალარო,
ჩვენი „უაქტის" სალარო,
თარითურა, თარალო,
რამ შეჭამა სალარო?
მიველ, ვნახე, თარალო,
ჩვენი „უაქტის" სალარო,
შეეჭამა მოლარეს,
ჩვენი „უაქტის" სალარო!
მოდი, ვნახოთ მოლარე,
ვინ შეჭამა მოლარე?
თუ შეჭმული არ იყოს,
ვუთხრათ: ფული მოლალე!
მიველ, ვნახე მოლარე,
ჩვენი „უაქტის" მოლარე,
ჩვენი „უაქტის" კომენდანტს
„შეჭამა" მოლარე.
კომენდანტმა — მოლარე,
მოლარემ კი ფულები
ტკბილად შეახრამუნა, —
ჭამა მოხრაკულები.
მივაშუროთ კომენდანტს,
ვინ შეჭამდა კომენდანტს?
მოდი, ვნახოთ, გავიგოთ,
რა მოუვიდა ნეტა?
მიველ, აღარ დამიხვდა,
„ჩვენი „უაქტის" სულიკო",
გამსახლს ის შეეჭამა,
გამსახლში წასულიყო.
კომენდანტი — გამსახლმა
და მოლარემ სალარო —
ჭამა, შეახრამუნა,
შემოსძახა „თარალო".
მოდი, ვნახოთ მდგმურები,
რას შვრებოდენ მდგმურები?
მოლოდინში „რემონტის"
ჩამოუშვათ ყურები. **მედუზა.**

ბიუროკრატი ქუჩაში

გლეხი:—თქვენი ჭირიმე, ეს მისამართი მასწავლე!
— შემოიარეთ ორი დღის შემდეგ!

ჩიწერ-მოწერა

წერილი

ტკბილო, თბილო, გამოქნილო
საყვარელო დათო.
ჩემო მზევ და ჩემო მთვარევ,
და კვლავ უფრო მნათო.
როგორა ხარ, მაგრამ აბა,
კითხვა უნდა რაღათ!
იმედია, რომ იქნები
„შახათ“ და ყოჩაღათ.
ჩემი ასე დავიწყება
რითი აიხსნება?
გენაცვალე... რათ მიეცი
შენს თავს ამის ნება.
თუ გსურს შენზე გამიმართლდეს
გატეხილი გული,
გთხოვ — ამბავი... მაგრამ, უფრო
საჭიროა ფული.

პასუხი

ჰა, ეს არის დღეს მივიღე
მე წერილი შენი.
ფული არ მაქვს, უმარკოთ გწერ
პასუხს... დაიხსენი.
ასე იქნა შენი მტერი,
როგორც, რომ დღეს მე ვარ.
მთლად ჩამოვხმი დარდისაგან,
კაცს აღარა ვგევარ.
შენ მაწვნიე ყოველივე,
დღეს განვიცდი რასაც.
შენ მასწავლე თაღლითობა,
შენ მაჩვენე კასაც.
ავტო, ეტლი, ქეიფობა.
ფული, კასა, წყარო.
არ გართობდი — დამცინოდი:
„შენ „დედალი“ ხარო“.
დღეს კი... დღეს კი ყოველივე
ჩამეთვალა ცოდვათ.
არ მოხერხდა თავის დაცვა,
მიიჩნიეს ბოდვათ.
სამსახურიც გვერდზე დამრჩა,
„გამგის სტაჟიც“ ოხრათ.
პარტ - ბილეთიც... შენ... შენგან
მჭირს...
რათ გაგიცან ოხ, რათ!

ვან-ჩინ.

ღია წერილი

ძმაო ვასილ!

აი, სწორედ დღეს მივიღე შენგან წერილი და გიგზავნი სამაგიეროს.

ძალიან სასიამოვნოა, რომ **ჩოხატაურის** ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების გამგის ადგილი ჩაგიგდია ხელში. ყველაფერს ვიფიქრებდი და თუ შენ მაქ მოეწყობოდი, ეს აღარ მეგონა. მაგრამ ყველაფერი შესაძლებელია, თუ კაცს ხერხი გიჭრის და ვინმე გწყალობს.

ზოგიერთს რომ ჰკითხოთ, გეტყვის, — გამფლანგველებს ძალიან სდევენითო.

მაგრამ სინამდვილე სულ სხვა სურათს იძლევა. დღეს ვერც ერთ გამფლანგველს ვერ ვხედავ რომ სამსახურში უფრო დიდ ადგილზე არ იყოს მოწყობილი.

აი, მაგალითად: გედევან გიორგაძე ხაშურში რომ ფული „გააიმასქნა“, ბათუმში დანიშნეს ტელეგრაფის უფროს თანამშრომლად.

ანდა, ქობულეთის ფ.-ტელ. ყოფილი გამგე, (ფული რომ „წაართვეს“).

აგერ კიდევ — შენ, ბუკისციხეში რომ 800 მანეთი „შემოგექამა“ პირველად ჩოხატაურში გადმოგიყვანეს შემნახველ სალაროს კანტორალიორად და თვეში 61 მანეთის მაგივრად 100 მანეთი დაგინიშნეს და ეხლა 125 მანეთსაც ღებულობ. ასე, რომ თუ ჰამის მადა დაგირჩა, კიდევ უფრო ზევით აგწევენ და შეიძლება საოლქო კანტორის გამგეთაც დაგნიშნონ.

კიდევ დაუმადლე იოსებ ჩხიკვიშვილს, დიდიმამიშვილს, და ოლიფანტე გაგუას,, თორემ ასეთ სათალ დუმას ვერ ჩამოიგდებდი ხელში ასე იოლად.

სიმართლე რომ კაცმა თქვას, მაგი ადგილი ბეგლარს კი ეკუთვნოდა, მაგრამ რას იზამ კაცი.

სხვა რა მოგწერო! აქეთ ახალი არაფერია, გარდა იმისა, რომ აპარატმა წრქენდა დაიწყო, რამაც შიშის ზარი დასცა ყველას.

შენი **ტალი.**

საახალწლო ღიღინი

ჩან-კაი-ში

ვარ ჩინეთის პოლიტიკის
„საუცხოვო“ მზარეული,
კოვზი ნაცარს ჩამივარდა,
დავთრები მაქვს არეული.

პილსუდსკი

აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ
და იქით გორას ძვრას ვუზამ,
თუ გამიურჩდა სეიმი,
პირს ჩავავლებ და ყლაპს უზამ.

ვანდერველდე

ვეკურკურები კაპიტალს,
მითი მაცვია საცვლები,
სამინისტერო პორტფელო,
„შენს გამჩენს დავენაცვლები“.

კაუცკი

პროლეტარები ლენინმა
კაპიტალიზმთან წაჰკიდა,
ჩემზე ამბობენ: კაუცკიმ
მუშათა კლასი გაჰყიდა.

ოსტინ - ჩემბერლენი

საბჭოთა მხარეც, წყეულო,
მუდამ მადგიხარ ყელზედა,
და პარლამენტში შეკითხვებს,
ვიძლევი შეკითხვებზედა.
ჩემისთანაზი იტყვიან:
„საქმე არ ჰქონდეს ხუროსო,
ხელში ჩაქუჩი აიღოს,
დაჯდეს და არახუნოსო“.

ტროცკისტები

ველარ ვამრუდებთ ლენინიზმს,
რაც უნდა ბევრი უმიზნოთ,
გახუნდენ ჩვენი ფრაზები,
დავეხეტებით უმზინოთ.

მემარჯვენეები

შენი ჭირიმე კულაკო,
ვაჭარო გენაცვალები,
ვინც თქვენი ფასი არ იცის,
ფუი, დაუდგეს თვალები.

მუსოლინი

სჩანს, რომ ჩარხი ბედისა
წაღმა აღარ ტრიალებს,
ალსასრულის ჟამი მოდის,
მომსპობს გამატიალებს.

ზოგიერთი ვეჭილები

არ ეკიდა კარი კარსო,
აეკიდა მკვდარი მკვდარსო,
რომ არ ვიცით, ვის ვასწავლიო
საბჭოების სამართალსო?!.

ჩვენი მენშევიკები

ეს დრო ჩვენთვისაც შეიქნა
უპურმარილო „ნახალი“,
ძველმა იმედი მოგვისპო,
დაგვასამარებს ახალი.

ზოგიერთი მწერლები

ხან თქვენთან ერთად მოვდიავართ,
თანაგზავრებათ ზმორებით,
ხან ბალდახინებს მიეყვებით
ხუცების ანაფორებით.

სახელგამი

ცნობილ ენუქას სიუხვეს
არ დამიმადლებს მასები,
წიგნი თუ მინდა სოფლისთვის,
უნდა დავუკლო ფასები. **მედუზა.**

ტარტაროზის საახალწლო ძღვენი

შევიწროებულნი (ქუთაისი)

— მაგ წმენდის მომგონს დეექცა ოჯახი. აღარ ღირს, ძმაო, სიცოცხლე. აი შეჯიბრიო, აი, ხუთწლიანი გეგმაო, მუშათა ბრიგადები, მსუბუქი კავალერია, კრიტიკა, ჩისტკა, მუშკორები და სხ. უბედურება: მუშაობის დროს სამი წლის უნახავი რომ მოგივიდეს და პურმარილზე დაგპატიჟოს, სამსახურს ვერ მიატოვებ.

— ბილეუტინია, ... არც ისე ადვილი ასაღები გახლავთ, როგორც უწერ. თუ მართლა ავად არ ხარ და სიცხე არ გწვავს, ისე აღარ იძლევიან, ამათი გადამკიდე, ექიმებიც ჭი შეშინდა.

— აირია, ძმაო ცხოვრება. ხალხიც გამოიცვალა. შენ ძმასაც ველარ ენდობი, საიდუმლოებას არავინ არ შეგინახავს. ყველას დიდ ვაჟკაცობათ მიაჩნიათ, რომ ერთმანეთის ნაკლი და შეცდომები ამხილოს.

— მე სამფინგანის წმენდას უყურე. მართლაც აღარ ღირს ახლა სამსახური. წამოხტა აგერ შენთან, რომ ასჯერ პური უჭამია, ათი ათასჯერ რომ გამარჯვება გითხრობია მისთვის და რაც დაგიშავებია, ყოველივეს დაგიკაკლავს.

— რაღაც ერთი კვირა დღეს გვქონდა დასვენება. შეგვეძლო ამხანაგებს თავი ნოგვეყარა და გვექეიფნა. ახლა ამის საშუალებაც მოგვისპეს.

— ეხ ხუთწლიან გეგმის წყალობაა.

— ასე თუ იქნა, მე მგონია გააუქმონ ეს ხუთწლიანი გეგმა.

— გააუქმონ კი არა, ოთხ წელში უნდა დათავიოისო.

— მაშ ჩვენი დასვენება როდის იქნება?

— აპარატის წმენდის შემდეგ.

კოსტაიდი.

ყუმბარა

ჩვენი მსუბუქი კავალერიის თავდასხმა ფინსახკომზე

ხახანაშვილი კოტე
კაცია ინსპექტორი.
ინტრიგებსა და ჭორში
მას არავინ ჰყავს სწორი.

ხაბრალდებულო სკამზე
ის ერთხელ თურმე მჯდარა.
(ეხლაც რომ დაჯდეს, მგონი,
მას ეს არ აწყენს, არა).

—:—

მანსვეტაშვილი პეტრე—
(უფროსი ინსპექტორი),
ამას კი ღვინის სმაში
არავინ არ ჰყავს სწორი.

ბიუროკრატობს პეტრე...
თქმა უყვარს, საქმე—არა.
ფორმალისტ-პასივისტი...
ჯერ მასზე ესეც კმარა.

—:—

ამათ მსუბუქად გააქვთ
თვისი მძიმე უღელი,
რადგან მათ მფარველობას
უწევს **სიმონ ჯულელი**.

(სიმონ—სპირიდონის შვილო,
და არა მიწსახკომი).
სოცშეჯიბრს და პროფკავშირს
გამოუცხადა ომი.

მანგოშვილი იოსებ
თავს „ერთგულად“ ასაღებს.
მაგრამ კერძო ვაჭრებს კი
ჩუმად აძლევს გასაღებს.

რა ჰქნას, „გულსაწყალია“,
ეცოდება ვაჭარი.
ხათრიანი კაცია,
(ჩამოუდგეს მაჭარი).

—:—

ავეტიკს ვინ არ იცნობს,
(**არუთინოვი** გვარი).
წინეთ ოფიცრის ჩინით
მან დაიმშვენა მხარი.

ვაჭრის შვილია იგი,
აწეული აქვს ცხვირი.
დაშნაკთა ჯარში იყო...
არ მოსწონს კომკავშირი.

—:—

მამულაშვილი გაბე
კაცია გულახდილი.
თვით ამბობს: „უხეში ვარ,
ასე ვარ გამოზრდილი“.

რასაც ეტყვის ავეტიკ,
ის იმისი მქნელია.
ცეკვავს იმის დუდუკზე,
„შეკრული აქვს“ ხელია.

კოსტანტინე სანოვი—
ძველი „მოსე მწერალი“.
ჩვენს ახლანდელ ყოფაზე
ირიბულად მზერალი.

ცოლს გადასცა სახლები,
კაცი „გაპროლეტარდა“,—
მაგრამ ცოლსაც ჩამოართვეს,
ეს ოინიც ჩამწარდა.

—:—

ქევხიშვილი გიორგი
ბუჰლალტერი „მთავარი“.
თავის-თავი ჰგონია—
ფინსახკომის ჯავარი.

თავი მოაქვს მას ბატკნად,
ისე არის მელია.
მიდის-მოდის აქა-იქ
თითქოს საქმის მქნელია.

—:—

მღვდელ კეკელიძეს (ეხლა
ყოფილს და წვერგაპარსულს)
გაიცნობთ, თუ გაიცნობთ
მის ახლო დროის წარსულს:

„ერთ ხელში მქონდა ხმალი,
და მეორეში—ჯვარი“.
თვით მიდოდა უკან,
წინ კი—საომრად ჯარი.

კობახიძე მიხეილ
ბიჭი არის „ნაქები“,
ძველი აზნაურია...
აქვს მას შავი ლაქები,—

მაგრამ მოხერხებულად
მან წარსული დამალა.
ცხრამეტ წელში, ნეტა, ის
ვისი იყო ამალა?

—:—

ხევსურიანი გრიშა
თუმც ერთხელ გაიწმინდა,—
მაგრამ „კეთილი ყოფა“
მას მაინც არ მოსწყინდა

„84 პრობი“-ს
„ნეპმანი“ უკვე გახდა.
მზითები ბლომად მიხცეს,
მისი ოცნება ახდა.

—:—

აბაშიძე მიხეილ
ახალ მოდის კვაჭია.
ყველგან ისე გაძვრება,
როგორც კურდღლის ბაჭია.

ამბობს: „ცაკის წევრი ვარ“...
ქალებს ეხხმის ბინაზე...
მუშას ფეხი დახტუუა,
ფულს არ იხდის ჯანაზე.

ასეც ხდება

ალმასკომის თავმჯდომარე:—ამხანაგებო, ჩვენმა ანტირელიგიურმა კამპანიამ კარგი ნაყოფი გამოიღო—წელს, ხომ ხედავთ, მთელი სოფელი ახალი სტილით ხვდება დღესას წაულებს.

კუს ნაბიჯი

ხონი. ცუდი გზებისაგან გაწყვეტილი გვაქვს წელი. გაკეთებას რაც შეუდგენ, არის ორი წელი. გადავთხარეთ მთა და ველი, არ დაგვადგა ჩვენ საშველი.. ტეხნიკი ახალ მთვარეზე გამოჩნდება და მაშინვე ქრება. გაამრუდა ყველგან გზები, სადაც ჰყავდა ნაცნობები. ხალხში ისმის საყვედური, არვინ უგდო ამას ყური. ალმასკომი მას მფარველობს, ერთად სვამენ სადღეგრძელოს.

სე—ფე.

დაკვრითი წესით

გამოჩინებული. მოწაფეებს აძაგძაგებს; იხურავენ საბან-საგებს. სკოლას არ აქვს ფანჯრები და კარი; თავისუფლად დანავარდობს ქარი. ალმასკომმა დაადგინა: შეაკეთოს სკოლის ბინა. ეს საქმე გასაკეთებლად შეტანილია ხუთწლიან გეგმაში, და გაკეთდება ალბად მხოლოდ მაშინ. ასეთია მათი დაკვრითი წესი. (ვინ იქნება მათზე უკეთესი?!).

რამიკო.

გაიგეთ პირიქით

მუხიანი. გამგეობა ჩვენისთანა ეყოლება სხვა ვის განა?!. რომ მიიღეს საქონელი, იხმეს წევრნი და სოფელი. (თავისთვის არ გადამალეს, და კრიზისს არ დააბრალეს). დაიტოვეს თავისთავი, წევრებს მისცეს უამრავი სურსათი და ფართალი, (ეს არ არის თუმც მართალი).

ოლლი.

ბესარიონ - ბახუსი

ფოთი. ათწლედის მასწავლებელ ბესარიონს (ღვინოდ რომ ნატვრობს მდინარე რიონს) ჩამოუდგი ღვინო ერთი ფუთი და შენი შვილისთვის მზად აქვს „ხუთი“... სარდაფებში უყვარს სიარული. იქიდან ამოდის მხიარული. ეჩვენება: ბავშები —ტიკებათ, ხოლო სამელნეები— ჭიქებათ.

კ—ტი.

„პური ჩვენი არსობისა“

ხარაგოული. პური არის ბლომად, ყველას გასაძღომად, მაგრამ ცხვება ცომად. შიგ: ბაწარი, ნეხვი, კატლეტი და ძეხვი. ამ საქმეს ჯერჯერობით არავინ ათხოვა ყური. ნეტავი გვეღირსება ჩვენ გამომცხვარი პური?

აუწიეთ ყური, გამოცხვება პური.

ჩიორა.

უძირო ჯიბე

იქიდანვე. აქაც არის კლუბი, (შიგ ხშირია ჩხუბი). უჩვენებენ სურათს (ნუ იკითხავ თუ რას?). ფულს აწყობენ დახლში... დაჯდები და მალე გაიქცევი სახლში, რადგან ისე ცივა, რომ კბილები გცვივა. არ ათბობენ, რადგან არ აქვთ შეშის ფული. (აბაშიძე არის ლოტოს მოყვარული).

ჩ—ა.

სურსათის კრიზისი

სენაკი. ცივმა ზამთარმა გასწყვიტა ბუზი და ყველა მწერია, და გლეხკომის სასადილოს ერთიც ვერ დაუჭერია. ამიტომ სურსათის კრიზისს განიცდის. (შიგ შესული მოქალაქე სადილისათვის დიდხანს იცდის). მოაქვთ კერძი; მარტო წვენია. ეკითხება მოსადილე: ეს რა არის! არ გრცხვენია? მე რას მარგებს მარტო წყალი, —არც ხორცია და არც ძვალი!

— რა ვქნა, ძმაო; ზამთარია, და ბუზები გამწყდარია. ნუ მოგდით თქვენ ბრაზი; უბუზოთ კერძი ღირს აბაზი; ორი ბუზით — ათი შაური. რა საჭიროა ამდენი აურ-ზაური. ჭამე და წადი სახლში, და ჩვენ ფულს ჩავდებთ დახლში.. გამარჯობა - გაგიმარჯოს, ხვალ მოგართმევ ბუზით ხარჩოს.

ტარ-ნათლია.

„პარასკევი“

სახელგამის დერეფანში ძალიან ბნელოდა. აქა-იქ მოსჩანდა სილუეტები. ვიღაცეები დადიოდენ დერეფანში. კუზმას ბარონის კარებთან ეძინა. კი არ ეძინა, ასე ვსთქვათ, თავს ქინდრავდა.

— არ შეიძლება.

— რატომ?

— დიდი საქმე აქვთ.

— კაცო, რა გააჭირვე შენ საქმე, კუზმა ხარ თუ ზურნა! გათავდა ეს რაღაც „დიდი საქმე“?

უცბად მარცხენა განისკარი გაიღო.

— კაცო, არ დამანებებ თავს? — მოისმა ნაზი სასიყვარულო ხმა. ასე ეგონებოდა ადამიანს — აი ეხლა გამოჩნდება მშვენიერი ასული და თავისი წარმტაცი სილამაზით და მოყვანილობით, დაგვბნიდავსო. მაგრამ, მის მაგიერ კარებში გამოეყუდა ორი საჟენის სიმაღლე ახოვანი ვაჟკაცი. უკან პატარა ადამიანები მოსდევდენ და ხელების ქნევით რაღაცაზე ელაპარაკებოდენ.

ახოვანი კარებში გაჩერდა.

— რომ მირბიხარ, ჩვენ რას გვეუბნები? — მოისმა აქეთ - იქიდან.

— კაცო, თქვენ რა კაცი ხართ? არ გესმით ქართული!?

— სწორედ შენ არ გესმის! ამდენი ხანია წარმოვადგინე ჩემი ოცდახუთი პიესა; დამპირდი — კრებულის გამოცემას, პირობაც დავსწერეთ და დღესაც არაფერი სჩანს. — ბრაზობდა ერთი ახალგაზრდა მწერალი.

— მე კაცო, ასე ვიტყოდი. პირობა დაწერილია. პიესები წარმოდგენილია. ფული მისაღები გაქვს. ახლავე ვკითხავ ბარონს.

— ჩემი ლექსების ორი ტომი მიღებულია დასაბეჭდათ და ჯერ არც ფული მიმიღია და არც წიგნი გამოსულა: — ახმაურდა ახალგაზრდა პოეტი.

— მთელი კვირაა დავდივარ, მთელ ქვეყანას ურიგებ სთარგმნს, და მე ვერაფერს ველირსე. რაშია საქმე, ამხანაგო? — გაბრაზდა ერთი დაბალ - დაბალი ინტელიგენტი.

— მე კაცო, ვკითხოთ აგერ ბარონს!

ბოლოს, როგორც იქნა, დააღწია თავი ახოვანმა ამ შემოსეულ ხალხს და უცბად შეირბინა ბარონის კაბინეთში.

ბარონ დეკოსტა და ახოვანი მაგიდის ახლოს იდგენ და რაღაცა სერიოზულ საქმეზე ლაპარაკობდენ. უცბად კარები გაიღო და ზღვა ხალხი შეგრიალდა შიგ.

— რა ამბავია! საქმე აღარა გაქვთ, რომ ყველანი ერთად შემო-
თ? ჩვენ საქმე გვაქვს და თქვენ ხელს გვიშლით... ვკითხოთ თუ გინდათ აგერ ბარონს! — გახელდა ახოვანი.

— პარასკევს! — იყო ბარონის მოკლე პასუხი.

— ამხანაგო დეკოსტა, ორი ბავში და ცოლი ავად მყავს, დღეს, რომ ფული არ მომცე, ყველანი დამეხოცებიან. — შეემუდარა ერთი მწერალი.

— მე კაცო, ცოლშვილი ყველას ჰყავს და ყველას რომ ყოველდღე ფული ვაძლიოთ, კაი დახლი დაგვიდგება; ვკითხოთ, თუ გინდა, აგერ ბარონს. — უპასუხა ახოვანმა.

— ერთხელ და სამუდამოდ გამოცხადებულია და ყველამ უნდა იცოდეს, რომ **სახელგამი ფულის გაცემას აწარმოებს კვირაში მხოლოდ ერთხელ. ეს არის დღე იგი პარასკევი.** ვკითხოთ თუ გინდა აგერ პავლეს! — ღიმილით წარმოსთქვა ბარონმა და ახოვანს თვალები ძლივს შეაწვდინა ქვემოდან.

— მე კაცო, მაგას რა ლაპარაკი უნდა, ვკითხოთ თუ გინდა აგერ ბარონს. — ღიმილითვე ჩამოიძახა ახოვანმა.

— თქვენ რა გნებავთ? —შეკეითხა მეორეს ბარონი.

მეორე მწერალმა, (როგორც ეტყობოდა რომანისტი უნდა ყოფილიყო, რადგან ძალიან მოღრუბლული სახე ჰქონდა და ღელავდა), ქაღალდი გადაუდო და მკვახედ უთხრა:

— ცოლი უკანასკნელ დღეშია, დღეს რომ ფული არ მომცეთ, მტკვარში უნდა გადავარდე.

— **პარასკევს!** ხომ გაიგონეთ? ყველას რომ ცოლშვილი დაგვეხოცოთ, პარასკევამდე ფულის გაცემა არ შეიძლება, ვკითხოთ თუ გინდა, აგერ პავლეს! — „დააკმაყოფილა“ ბარონმა.

— მე კაცო, რა თქმა უნდა, თუ მტკვარში გადავარდნა გინდა, ხელს არავინ შეგიშლის. სრული ნება გაქვს, ხოლო თუ **პარასკევამდე** გასძლებ და მტკვარში არ გადავარდები, **პარასკევს** ფულს მიიღებ, ვკითხოთ თუ გინდა აგერ ბარონს.

— ამ საღამოს, ყოველ მიზეზს გარეშე, სოფელში მივდივარ. შარშანდელი ხუთასი მანეთი მერგება, რომ არ მომცეთ აქედან ცოცხალი არ წავალ .თუ ამაღამ სოფელში არ წავედი, ჭიპზე გავსკდები. — ხმა მაღლა დაიწყო მეორემ და ბარონს ქაღალდი წინ დაუგდო.

ბარონ დეკოსტამ გაოცებით ხელები გაასავსავა.

— სწორედ ჭკუაზე შეიშალა ეს ხალხი!

— მე კაცო, სოფელში წასვლა თუ გინდა, წადი მერე, ვინ გიშლის?, ვკითხოთ თუ გინდა აგერ ბარონს.

— მე სიმართლეს გეუბნები, უნდა წავიდე და ფული უნდა მომცეთ. მე არც ცოლი მყავს და არც შვილი.

— მე კაცო, მაგას რა სჯობია, თავისუფალი კაცი ყოფილხარ; ვკითხოთ თუ გინდა აგერ ბარონს. — უთხრა ახოვანმა და დანარჩენ ხალხს ზევიდან თვალი ჩაავლო.

ასეთი დიალოგი კარგა ხანს გაგრძელდა და ბოლოს ყველამ უბით წამოიღო მხოლოდ ერთი სანეტარო სიტყვა „პარასკევი“. **ჭინჭრაქა.**

ლიტერატურული ლომბარდი

გალაკტიონ ტაბიძე

პოემიდან: „ეპოქა“.

მინდვრათ ბალახია, ბალახში
ცხენია,
ეს ბუნებრივია, ეს მე არ მწყენია.
რევოლიუცია მოხდა,
ღელავდა პეტერბურგი,
მე მახსოვს მაქსიმ გორკის
ულვაშები და ზურგი.
მე მახსოვს ორატორი,
რომ იდგა ასე....
გემით წამოვედი, გზაში ვიბაასე.
გავქრებით როგორც ბოლი,
გული არა მაქვს ქვისა,
შესაძლო არის ცოლი,
მეც მომეწონოს სხვისა.

ფრიდონ ნაროუშვილი.

პატარა ნაწყვეტი დიდი პოემიდან.

პეტრე შეხვდა ივანეკა,
იმან ის სთქვა, ამან ესა.

გაიოზ ყირიმელი.

ხელოვნების ერთმართველობაში

დრამატურგი. — გიორგი! გეთაყვა, აქ პიესა მაქვს წარმოდგენილი და მინდა გავიგო დართეს ნება თუ არა?

გიორგი წივწივაძე: — როდის წარმოადგინეთ?

დრამატ.:— შარშან!

გიორგი: (მუცელზე ხელებს მოიჭერს და გულიანად ხარხარებს. დრამატურგი გაოცებული უყურებს): — რაო? შარშან? (კიდევ იცინის) შარშანდელმა ყველაფერმა ჭირი მოგჭამა. ვერც პიესას იპოვნი და ვერც ვერავითარ საქმეს!.

დრამატურგი: —?!!

ახალი რომანი

პოეტების ერთ ჯგუფს დაუწერია ახალი რომანი: **„ძირს ღვინო და არაყი“.** რომანი მეტად საინტერესოა, როგორც პირველი ცდა.



მუშათა ახალი კლუბი

კლუბში ძალლებს ატარებენ ზოგი კლუბის წევრებიო.
კურდღლები გვაკლია, თორემ ბლომად გვყავს მეძებრებიო*).

დარბაზში მუდამ შესვლაზე აქ ხომ აურ-ზაურია.
ბილეთებს არვინ ყიდულობს, თუმცა ხუთი შაურია.

ტირი თავის დონეზე სდგას თავის ტყვია-წამლებითო;
ბარე ორს თვალი დაევსო, თოფის სროლის სწავლებითო.

დასასვენებელ დარბაზში, ზოგიერთს შევეხებიო,
მდივანსა და კრესლოებზე — გაუწყვიათ ფეხებიო.

რედკოლეგია ზოგჯერ სჩანს ახალ მთვარესავითაო.
გაზეთი არ გამოსულა აგერ ცხრა თვე გავიდაო.

კინო-სურათის ჩვენება კვირაობით გრძელდებაო,
გამოცვლაზე არვინ ფიქრობს, ვიდრე არ მოგბეზრდებაო.

ლამპოჩკებზე მტვერი აძევს, კაცი დანით ათლიდაო.
(ალბათ თვალი რომ არ მოგვჭრას მეტის მეტ სინათლითაო).

ამ კლუბის **სასადილოზე**, უნდა გითხრათ ერთი რამე:

კაცმა იქ თუ ისადილე, გარბენიბეს მთელი ღამე,
თუ შნიტცელი მოითხოვე, ვაი, თქვენი მტერია;
„აბესპეჩენნი“ გეჭიროსთ ვეჩნი დეზინტერია.
ერთხელ ხარჩოში ვიპოვე, გრაუდანინი ტარაკანა
ისიდორეს რომ ვანახვე, იმან ასე დაატანა:
—მარგებელია, ძმობილო, ტარაკანას ხორციაო;
არაფერს გიანგარიშებ, ფეშქაშ ერთი პორციაო.

დონ-კიხოტი.

*) არა გვგონია, რომ ეს სიმართლე იყოს. „კურდღლები“ (უბილეთოები) ბევრი არიან თქვენს კლუბში.

ანგარიში

გაბრიელ ჩოლაბარგიას ძალიან გულით უნდოდა თეატრში წასვლა. თუმცა შეუძლოთ იყო, მაგრამ ჩაიცვა ოთხი ძველი ფინჯაკი, ორი ძველი საზაფხულო პალტო, ძველი შარფი შემოიხვია და წავიდა.

აიღო ათ შაურიანი ბილეთი და შევიდა თეატრში. მოსამსახურე ქალმა ღიმილით ჩამოართვა ფინჯაკები და პალტოები და ჩამოჰკიდა ერთად.

გათავდა წარმოდგენა. გაბრიელმა ტანისამოსი მოითხოვა. ქალმა ჩოთქი აიღო ხელში და ანგარიში დაიწყო: ოთხი ფინჯაკი — 60 კაპ. ორი პალტო — 30 კაპ. სულ 90 კაპ.

გაბრიელმა გაოცებისაგან პირი დააღო:

— როგორ 90 კაპ. უნდა გადავიხადო?

— დიახ, — იყო მოკლე პასუხი.

— სად არის სამართალი? ბილეთში 50 კ. გადავიხადე და ძველი ტანისამოსის შენახვაში 90 კაპ. უნდა გადავიხადო. ეს არის თანასწორობა?

— თანასწორობა აქ არაფერ შუაშია. თქვენი ექვსი ნაჭერი იყო. თითო ნაჭერი ღირს 15 კაპ. სულ მერგება 90 კაპ. იმისი მადლობელი იყავით, რომ შარფი არ მიანგარიშებია. ისიც, რომ მეანგარიშა მანეთს და ერთ შაურს გადიხდიდით.

ბევრი ეხვეწა გაბრიელი, მაგრამ ვერაფერით ვერ მოარბილა გულქვა ქალი და რადგან ამდენი ფული არ აღმოაჩნდა იძულებული გახდა ერთი ფინჯაკი გირაოდ დაეტოვებინა.

მეორე დღეს გაბრიელმა გადაიხადა ფული და დაგირავებული ფინჯაკი დაიხსნა.

ჭ—ქა

ღანირ-ქვიტირი

(ქუთ. ოლქი)

ქოხ - სამკითხველო ცრემლებს
ღვრია,
გული უკვნესის, ლონდება
რა ხელმძღვანელი კალისტრატ
იმ ტანჯულს მოაგონდება.
მუნ ახალგაზრდა თაობა
ყოველ საღამოს გროვდება,
მას საშიკო კურსების
ეკუთვნის სახელწოდება.

—:—

კედლის გაზეთი „თემის ხმა“
უთუოდ შეგეცოდებათ,
„ზაკაზათ“ მისი დამწერი
არის „მაღალი“ წოდება.
რედ - კოლეგიას შეადგენს
მთელი ადმინისტრაცია
და რომ იქ ნაკლი აღნიშნო,
როგორ გაბედავს კაცია!
და ამიტომაც „თემის ხმა“
ვსთქვი: ცრემლის გუბედ ქცეულა,
საქებარ - სადიდებელად
ის მხოლოდ გადაქცეულა.

სამ თვეში ერთხელ გამოდის
მეხოტბე არის ყველასი:
თავმჯდომარეა ბიკენტი,
ცაცა, თინა, თუ ევლასი
გამგე კალისტრატ რუხაძეს
საქმე ფეხებზე ჰკიდია
და რევოლვერი უსაქმურს
იმიტომ დაუკიდია
ბაზარში სროლა ატეხოს,
შექმნას დებოში, განგაში.
(ბიჭიკო, სხვამ თუ დაფარა,
მოწმეთ შენ გნიშნავ ამაში);

—:—

პოლგანათლებავ, მოგეხედე
აქეთკენ შენი თვალები,
ქოხ-სამკითხველოს გამგიდან
ხედავთ ვართ განაწამები.

—:—

ტარტაროზ, ქვიტირს გლეხკომმა
საქმე ჰქნა საკვირველია,
(თუმც ამ თემისთვის ასეთი
კომბინაცია ძველია).
აქ, წითელ სასადილოში
შემოძვრენ, როგორც მელია
ძველი ვაჭრები, ჩარჩები,
ძალები მეტად ბნელია.

სტერიანე, გიორგი,
(პირველი მეტად მსუქანი)
და სასადილო აქციეს
ვით კერძო ვაჭრის დუქანი.

—:—

სკოლის კედლები კი სდუმან,
იმედით გაცრეცილია,
საიმშენებლო სექციავ.
იკმარე ეგზომ ძილია.

—:—

აწ კი ვესტუმროთ ბიკენტის,
ცოტა დამირჩა გვიანი.
თემსაბჭოს თავმჯდომარეა
კაცია მეტად ჭკვიანი.
გიგონებ, როგორც სიზმარს,
კაცი ვერ ხედავს ნაკეთებს,
აწ კი პარტკომი ხონისა
გზას დაულოცავს ასეთებს.

—:—

მუშკორთა დევნა გჩვევია
დაგვერწმუნები ამაში,
ფრთხილად იყავი, არ არის
ძია ეს ნარდის თამაში.

„შიხლინსკი ბომბ“.

ფარცხი-მარცხი

კბილი ვისაც აწუხებს, უფრო მაგრად მარწუხებს

ჩიორა.

ხარაგოულის კბილის ექიმი განურჩევლად სიავ-კარგისა კბილებს აძრობს კბილატკივებულთ. მოუჭერს

მარწუხს, მოსწევს და... კბილი ხელშია.

— ეს ხომ საღი კბილი ამომაძვრეთ! დამღუპეთ კაცი? აწი რითი ვსჭამო საჭმელი? — მოსთქვამდა ავადმყოფი.

— არა უშავს... ესეც აგტკივდებოდა... ჭირი მოშორებული სჯობია. უკეთესია — ნაკლები კბილეამბობენ: „თუ კიდევ დიდხანს დარჩა ეს ექიმი ხარაგოულში, არც ერთი კბილი არ შეგვრჩებაო.

მაშინ სკოლაც ზაქარია თუ კი გშია ზაქარია,—

კვანტი.

ლევარსი რონრონაძის თქმის არ იყოს, კუჭია დიდი მოვლენების მთავარი მიზეზი.

ამიტომ არც გასაკვირია, თუ ფოთელ მღვდელს **ზაქარია ცინცაძეს** კუჭმა აიძულა მიეტოვებინა მღვდლობა, რადგან ეს ხელობა ვერ იყო ძველებურად შემოსავლიანი წყარო.

მაშინ კუჭმა ურჩია მღვდელ ზაქარიას:

— არა ჩემო ძმაო, რაკი თავიდან შემაჩვიე ჭამას, აწ ძნელია ჩემი გადაჩვევა. მღვდლობისაგან ხეირი არ არის. გაიძვრე მაგ ანაფორა, გაიკრიჭე წვერ-ულვაშ-თმა და დადექი მასწავლებლად. მასწავლებლობაში ეხლა უფრო ხეირია, ვიდრე მღვდლობაში. ღვთისმორწმუნეობა იქაც შეგიძლია დაიცვა.

ზაქარიამ დაუჯერა კუჭს და... ათწლედს გამგედ მოევლინა.

წარმოიდგინეთ, არც წაუგია.

მას ქეიფი მეტად უყვარს... ღვინისაგან პირი უჭარს

კაპანოლლი.

ხრეითის (ჭიათურა) თემაღმასკომის თავმჯდომარეს ასე ესმის თავისი მოვალეობა:

— თავმჯდომარე უნდა იყოს თავმდაბალი; მაგ. დაგპატიჟეს ქელეხიან ტირილში; უნდა წახვიდე და პატივი სცე ჭირისუფალს. (სამაგიეროდ, ისინიც გცემენ პატივს პურ-ღვინით);

მოქეიფე ბიჭები სამიკიტნოში დაგპატიჟებენ. უნდა წახვიდე მათთან და მთელი დღე იქეიფო. ფული თუ შემოგაკლდა, ცხენის ყიდვა-გაყიდვაში უნდა გამოიჩე. მაგრამ ხან, როცა საჭიროა, გლეხებს უნდა შეუყვირო. მაგ. მე რომ ბეღელი მქონდა დასადგმელი, გლეხები რომ არ შემეხურებინა, თავისი ზურგით არ მომიტანდენ და ეზოში არ დამიდგამდენ.

პოლიტიკაა საჭირო, პოლიტიკა! — ამბობს თავმჯდომარე და თავს არხეინად გრძნობს. (ყოველ შემთხვევაში, ამ წერილამდე არხეინად გრძნობდა თავს)...

წერილი ბათომიდან

ერთ დღეს სიცხემ მომიარა,
შევიძახე: „ჰერი... ჰერი“...
მიწსახკომში წმენდა იყო
და კრებაზე მეც შევძვერი.
ტრიბუნაზე კაცი იდგა,
დავინახე ეს ამბავი.
პროკოპენკო არის გვარად,
და ექიმათ მოაქვს თავი.
თურმე ხულოს გააგზავნეს,
ძროხის ჭირთან საბრძოლველად,
იქ „პიროჟნებს“ ექცეოდა,
და ბათომში გაჩნდა ხელად.
გუბერნატორ რომანოვსკის
მეგობარი იყო ძველად,
აპარატში ბიუროკრატობს,
თავი მოაქვს ვითომც ჩვენად.

—:—

ახალგაზრდა აგრონომი,
(სალუქვაძე იყო გვარად),
კრებაზე თავს გვაჩვენებდა
მამა აბრამისა კრავად.
„ჩისტკაზე“ რომ დაუძახეს,
შემოთვალა: „არ მოვალო...
„დამტოვებთ, თუ ან გამწმენდავთ,
ქე გავიგებ ამას ხვალო“.

—:—

გაიცანით, ჰა, ეს გახლავთ
გამგე ბოტანიკურ ბაღის;
ჩვენს მუშკორებს დევნაში მან
დააჩინა ზურზე დაღი.
პარტიულთ და კომკავშირლებს
ავიწროვებს, სდევნის ყველას.
მე არ ვიცი, ამ წმენდის დროს,
ვისგან ელის იგი შველას.
ადგილკომის თავმჯდომარე
შეამოკლა, შეამცირა;
მუშებს კი დაუგვიანა
სამ-ოთხი თვის შრომის ქირა
ცქიტიშვილი არის გვარი,
სახელად კი ქვია გრიშა.
ჩემებურად თუ კი მივსცხებ,
არაფერი მით არ მიშავს.

—:—

დელი-დელი შემოვძახე,
გაულესე კალამს წვერი.
საბაჟოსკენ ვქენი პირი,
საბაჟოში გადავძვერი.
მმართველის მოადგილეა,
სალავიოვი — კაცი ფრანტი
ჩემის აზრით უნდა იყოს
მისი გვარი ბიუროკრატი.
დაწინაურებულ მუშებს
აუტირა ყველას დედა,
„ვინ იქნება სიტყვას იტყვის,
ვინ იქნება გამიბედავს...
„კედლკორებს კი ტყავს გავაძრობ
დაანებონ ჩხიკნას თავი,
თორემ მერე დაიკვნეხონ
რომ წავკიდო მე ამბავი“
ასე ამბობს სალავიოვი,
და მისი თქმა დღეს მე მჯერა,
ასეთია საბაჟოდან
ეს ტიპი, ეს გაიძვერა.

გ. ბახველი.

„ტარტაროზი“-ს შემდეგი ნომერი გამოვა 12 იანვარს.

ჟურნალის ნომერზე

გაჭრილი კუჭი

მუშკოოპის სასადილო № 4 თანამშრომლები გულცივათ ეპყრობიან სისუფთავის დაცვას. ხშირად არ იშინდება მაგიდები, სამზარეულოში მეფობს სრული ანტისანიტარია. მაგიდები, რომელზედაც ამზადებენ საჭმელს, გავსილია სხვადასხვა მწერებით, რის გამო არა ერთხელ ყოფილა შემთხვევა, როდესაც სადილში ან პურში აღმოუჩენიათ მწერები.

„მ“

ჩვენი ცხოვრება არ არის ფუჭი,
და ცარიელი.
ბრმაც კი შეხედავს ამ სიმართლეს,
მიხვდება ხელი.
ხელიც,—სულელიც კი მიხვდება—
არ არის ფუჭი,
ამას ამტკიცებს მომხმარებლის,
გაჭრილი კუჭი.
ნეტარ არს კუჭი
მსგავს კუჭსავით გამოტენილი:
მთელი სანაგვე მასში არის
ჩასულ—„შთენილი“,
ნაგავი, მწერი, იქ ნახულობს
სავანეს, ბინას,—
გაბგეობას კი მუშკოპისას
სძინავს და სძინავს...

ფული... ფული...

ოსიკო ბარათაშვილს წმენდაზე ბრალი დადგეს მდიდრების და კულაკების დაცვაში.

„რაბ. პრ“.



კულაკს ვიცავ,
მის მზეს ვფიცავ,
მისთვის მიძგერს გული..
საქმეც გამაქვს.
დევიზათ მაქვს:
ფული,
ფული,
ფული.

ვაჭარი და მაჭარი

მელითონეთა ადგილკომის № 1 თავმჯდომარე **კოსტეცკი** სისტემატიურად ამახინჯებდა კლასიურ ხაზს.

მისი დახმარებით კავშირში მიღებულ იქნენ უცხო ელემენტები და ყოფილი ვაჭრები. კოსტეცკის პროტექციით კავშირში „შეძვრა“ ცნობილი ვაჭარი დოხიკიანი.

„ქ“.

მარჯვნივ მიგყავს მერანი,
მიგიშვია ფაფარი,
გააძვრინე კავშირში
კულაკი და ვაჭარი,
სჩანს შენაც კულაკური
იდეები გეზრდება:
„სოციალიზმს ვაჭარი
— ფიქრობ,— რომ შეეზრდება“,
რომ „შეზრდილხარ“—
ჩვენც ვხედავთ—
თვითონ შენ და ვაჭარი,
ხომ არ გიყვარს იმათთან
ქეიფი და მაჭარი?

ეშხრეშეტი

„თავის რიგზე“

სტალინის სახელობის ორთქლმავლების და რონოდების შემკეთებელ სახელოსნოში რონოდები, რომლებიც ფორმალურად შეკეთებულად ითვლებიან, ისევ სახელოსნოში დგანან. გარეგნულად ისე გამოდის, თითქოს ყველაფერი თავის რიგზეა და სინამდვილეში კი საწარმოო გეგმის აშკარა ჩაფუშვასთან გვაქვს საქმე. („რაბ. პრავ.“)

— **სოციალისტური შეჯიბრება გაინტერესებთ? მობრძანდით, ბატონებო, გასინჯეთ, აი დიაგრამა. აგერ**

საქმეები, ა, ხელშეკრულებაც. ყველა რეგისტრიაციაში არის გატარებული, ყველა ხელმოწერილია, თავიანთი ნომერი აქვს ყველას დასმული და ყველანი თავიანთ ადგილებში არის თავის რიგზე ჩაკერილი...

—:—

დეპეშები

სამტრედია. ლორების შეიარაღებული ბრბო თავს დაესხა სადგურის ბაქანს და მის მიდამოებს. სადგურის ადმინისტრაციამ გადასწყვიტა მტკიცე ნეიტრალიტეტის დაცვა. **ლორების** მუხანათური ბრბოს გააფთრებული იერიშები მიაქვს საქონლის საწყობზე. შედეგებს გაცნობებთ.

ხაშური. ზოგიერთმა მემანქანეებმა გამოაცხადეს სოციალისტური შეჯიბრება მატარებლის დამსხვრევაში, შეჯიბრებაში ჯერჯერობით ო-ძემ და მ-ძემ გაიმარჯვა.

რკინისგზის ბუფეტში



— დიდი ხანია რაც აქ მსახურობთ?

— უჰ... დიდი ხანია. ათ წელიწადზე მეტი იქნება!..

— მაშ, გეცოდინებათ, ორი წლის წინად მე ამ სადგურზე გამოვლის დროს ბიშტექსი შევუკვეთე, მზად ხომ არ არის?

დიდი-ჯიხაიში

მე ვარ კაცი...
დავკარ ტაში.
შევიარე ჩვენს სკოლაში.
ნახუცარი,
ფოფოდია...
ნეტავ აქ რათ მოვრბოდია.
ეკლესიის ძე, ასული,
მღვდლები ულაშ-გაპარსული
ყველა ერთად მასწავლებლობს
მღვდლის ცოლი და მღვდლის ასული.
ლიდა ჩვენი კახიანი,
რელიგიის მოყვარული,
შვილს უნათლავს წარა-მარა,
ვისაც არ ყავს მონათლული.
ვინ შეამკო ეს გუნდები,
ჩვენს სკოლაში ვინ შეჰყარა,
ამისთანა თაიგულებს
თავი აქ ვინ მოუყარა?

„კიკოლა ბიჭი“.



გამვლელს (სადგ. შორაპანი). — თუ „სადგ. შორაპნის „ზაკტპო“-ს ბუფეტში 2 გამგეა, 2 — მათი თანაშემწე, 6 ნოქარი, 3 ბუღალტერი და 4 მოლარე“, — სწორედ ეს ყოფილა მიზეზი, რომ მუშტრებს ტყავს აძრობენ.

შემდეგ გვწერთ, რომ:

ჩვენს რადიოს დააჯდენ
ჭყოიძე და ვარია, —
და რადიოს დადგმაზე
იმათგან უარია.

წითელი კუთხის კარგი გამგე ყოლიათ, და კიდევ უკეთესი — ადგილკომის თავმჯდომარე.

კავ-ლ-ტის (ჭიათურა). თქვენს ლექსში მხოლოდ ეს ერთი ხეირიანი კუპლეტი ვნახეთ და, ვინაიდან, ოთხი სტრიქონის დამოუკიდებლად მოთავსება არ შეიძლებოდა ცალკე, ამიტომ აქ ვბეჭდავთ:

სამივ ერთმანეთს უთანხმებს
და აისრულებენ წადილსა.
ნოქრათ მივიღოთ ის პირი,
ვინც გაგვიკეთებს სადილსა. (ლაპარაკია კოოპერატორ მელქაძეზე, პროკოფზე და ვანო მოდებაძეზე).

ბ. ნადიაშვილს (სამტრედია). „ეპოს“ სასადილოს შესახებ თქვენ კიდევ გვატყობინებთ, რომ:

შორიდანა შემორეკავს
ძაღლებს მყრალი სუნი.
კაცი საჭმელს ვეღარ შესჭამს
თუ არ მისცა პური. (ეს ხომ მექრთამეობაა),

თუ მარტო პურით კმაყოფილდებიან (და არა მოსადილეს ბარკლით) ისეც კარგია.

ბაქურას (აქვე). — თუ კი ეს იცით, რომ **„ყველაფერი კარგია რაც კარგად თავდებაო“**, — რატომ კარგად ვერ დაასრულეთ ეს თქვენი ამბავი?

ჩიორას (ხარაგოული). — თუმცა ეხლა უკვე აღარ არის მაჭრის სეზონი, მაგრამ ამ ოთხ სტრიქონს მაინც დავბეჭდავთ:

სახელგამში მსახურობს
შავსიელი ვაჭარი
(ალბად ენა მიტომ აქვს
ტკბილი როგორც მაჭარი).

ჰოდა, როგორც ეხლა არ არის მაჭრობის დრო, ისევე არ არის ეხლა—სახელგამში ვაჭრის მოწყობის დრო.

მამზერალს (სამტრედია). — „ეპოს“ თანამშრომელ კანდელაკზე გვატყობინებთ, რომ თითქოს ის ამბობდეს:

ჩემი დრო აღარ არის, —
ვმსახურობ ამათ დახლში.
რაც რამე კარგი მოვა,
ნაცნობებს ვატან სახლში.

ალბად თვითონაც მალე გაჰყვება უკან.

ფასკუჯს (აქვე, კოშკის ქ. № 17). თქვენ გვწერთ, რომ **„სერიოჟას და მარუსას შორის ჩატეხილია, მგონია, ხიდი“**... თქვენ რომ რომელიმე სოფლის ჩატეხილ ხიდზე მოგეწერათ(სიამოვნებით დავბეჭდავდით თქვენს ლექსს. მაგრამ ჩვენ ყოველივე ხიდის გაკეთების მომხრე ვართ და ამიტომ ვათავსებთ::

თავი რომ მომჭერ, გაქრი აქედან.
თუმც სერიოჟას არ ესმის აგი.
უბლვერდა მაროც და თმებს აგლეჯდა,
სერგომ ტირილით ძლივს შეკრა ბარგი.

შარი-შურს. (სოფ. ღვლევი). — ალბად ამ წერილის დაუბეჭდაობის გამო, ცხვირი კიდევ უფრო ძირს ჩამოგეშვებათ.

წინა დღით

ალკოგოლის წინააღმდეგ ბრძოლისათვის 24, 25 და 26 დეკემბერს სავაჭროებში არ იყიდებოდა ღვინო. (გაზეთებიდან)

— კაცო რა ამბავია, რომ ამდენი ღვინო მიგაქვს?
— ვერ გაიგე, რომ შობის დღეებში ღვინო არ გაიყიდებაო?!

Ƥ 345
1930

ჩინეთის საზღვრებზე (საახალწლო საჩუქარი თეთრგვარდიელებს)

თეთრგვარდიელი: — ამისთვის ვიბრძოდით?!

რედ. სარედაქ. კოლეგია; გაზ. „მუშა"-ს გამოცემა. საქ. პ.-გ. ტრესტის მე-5 სტამბა. მთავლიტი № 1319